სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თბილისი

13/05/2025

19:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **გიორგი ოქიტაშვილი**
2. **ზურაბ გოგშელიძე**
3. **აკაკი მიქაბერიძე**
4. **ვალერი არღუთაშვილი**
5. **მერი კაპანაძე**
6. **მიხეილ ჭიღლაძე**
7. **თემურ ცაგარეიშვილი**
8. **პავლიკა ჯაგუნავა**
9. **მირანდა მიქაძე**

2025 წლის 13 მაისს, 19:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 211 აუდიტორიაში გაიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. სხდომა გახსნა კომისიის უხუცესმა წევრმა - ვალერი არღუთაშვილმა და დააყენა საკითხი კომისიის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე.

1. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.</u>

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს - ვალერი არღუთაშვილი

კომისიის მიერ არჩეულმა თავმჯდომარემ - ვალერი არღუთაშვილმა კომისიას მოუწოდა მდივნის არჩევის თაობაზე, დადგენილი რეგულაციების დაცვით

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, მასში მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კომისიის წევრებმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის მდივნად დამტკიცდეს - მიხეილ ჭიღლაძე

3. კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის განსაზღვრა, საარჩევნო კომისიისადმი წარსადგენი განცხადების ფორმის დამტკიცება და მისი განთავსება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით განისაზღვრა საარჩევნო კომისიისადმი წარსადგენი განცხადების ფორმა და დოკუმენტთა ნუსხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე განსათავსებლად:

1. მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან (თსუ აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა);
3. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დადგინდეს:

არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენ განცხადების ფორმა და დოკუმენტთა ნუსხა, რომელიც უნდა განთავსდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.tsu.ge.

4. ამომრჩეველთა/საარჩევნო სიების გამოთხოვა

კომისიის თავმჯდომარე - ვალერი არღუთაშვილმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევის პროცესში ჩართულია ორი ტიპის ამომრჩეველი, კერძოდ, აკადემიური და სტუდენტი, შესაბამისად, არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, აუცილებელია ფაკულტეტებიდან ამომრჩეველთა სიების დროული გამოთხოვა და შემდგომი პროცედურების განხორციელება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის მიხედვით

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

დადგინდეს:

ამომრჩეველთა/საარჩევნო სიების გამოთხოვა და შემდგომი აუცილებელი პროცედურების განხორციელება

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის საარჩევნო ბიულეტენის ნიმუშების/ფორმების დამტკიცება.

საარჩევნო კომისიის მდივანმა კომისიის წევრებს მოუწოდა ემსჯელათ საარჩევნო ბიულეტენების ძირითადი რეკვიზიტებისა და ფორმის შემუშავების თაობაზე.

კომისიამ იმსჯელა საარჩევნო ბიულეტენების რეკვიზიტებზე და შეიმუშავა ფორმა, რომელიც კენჭისყრის გზით დაამტკიცეს.

კენჭისყრის შედეგები:

კომისიამ ერთხმად დაამტკიცა საარჩევნო ბიულეტენის ფორმა დანართის შესაბამისად.

დაადგინეს:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის საარჩევნო ბიულეტენის ფორმა.

6. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის (იგივე ქვეკომისია) წევრთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა</u>

კომისიის თავმჯდომარემ - ვალერი არღუთაშვილმა კომისიას მოუწოდა ემსჯელა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მინიმალურ რაოდენობაზე მიმდინარე არჩევნების მასშტაბიდან გამომდინარე.

კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ აუცილებელი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით განსაზღვრა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მინიმალური რაოდენობა.

კომისიამ იმსჯელა და დაადგინა შემდეგი: 6 წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

კომისიამ ერთხმად დაამტკიცა აღნინშული საკითხი

დაადგინეს:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მინიმალური რაოდენობა - 6 წევრი.

<u>7.საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება</u>

კომისიის წევრმა მირანდა მიქაძემ კომისიას წარმოუდგინა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის სამუშაო ვერსია, რომელიც კომისიამ განიხილა, დააკორექტირა და ღონისძიებათა გრაფიკის საბოლოო ვერსიას უყარეს კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

კომისიამ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული საკითხი

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი.

თავმჯდომარე:

ვალერი არღუთაშვილი

მდივანი:

მიხეილ ჭიღლაძე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა
2025 წლის 5 ივნისის არჩევნები

ფაკულტეტი

უბანი N_

სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატი

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი 1 კანდიდატი

1.

კომისიის წევრის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნები

ფაკულტეტი

უბანი N_

აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის კანდიდატი

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი 1 კანდიდატი

1.

კომისიის წევრის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების მიზნით
შექმნილ საარჩევნო კომისიას

_____

(სახელი, გვარი)

საკონტაქტო ინფორმაცია(ტელ/ელ-ფოსტა) :_____

_____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი კანდიდატურა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ----------კვოტით.

(ფაკულტეტი: _____)

აკადემიური პერსონალი ☐

სტუდენტი ☐

თანდართული დოკუმენტები:

პირის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი	
აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ცნობა სამუშაო ადგილიდან (თსუ აკადემიური თანამდებობა)	
სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	

ვადასტურებ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ მიკავია ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობა.	

გვერდების რაოდენობა :_____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ 2025 წელი

დანართი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი

1	13 მაისი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევნების დანიშვნა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა.
2	13 მაისი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.
3	13 მაისი	1. საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. 2. საარჩევნო დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება; 3. საარჩევნო ღონისძიებების დაგეგმვა, მათ შორის, ამომრჩეველთა/საარჩევნო სიების გამოთხოვის თაობაზე წერილის მომზადება და სხვა. 4. კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით საარჩევნო კომისიისათვის წარსადგენი განცხადების ფორმისა და თანდართულ დოკუმენტთა ნუსხის განსაზღვრა-დამტკიცება და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
4	16 მაისი	1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია **(საწყისი ვადა)**. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებია 16-22 მაისი. *შენიშვნა: კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ოთახი №114.*
5	23 მაისი	1. 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის კანდინდატთა განცხადებების განხილვა და დამტკიცება. 2. საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელების მიზნით დოკუმენტაციის/ფორმების შემუშავება და დამტკიცება.
6	30 მაისი	საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება და საარჩევნო უბნების მისამართების განსაზღვრა.
9	4 ივნისი	1. ცესკოს მიერ დამკვირვებელთა რეგისტრაციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. 2. კენჭისყრის დღისათვის საარჩევნო უბნების მოწყობა, შესაბამისი საარჩევნო

		დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
10	5 ივნისი	**უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნები** **კენჭისყრა** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე **შედეგების გამოცხადება** არაუგვიანეს 23:00 საათისა არჩევნების დღესთან დაკავშირებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში განცხადება/საჩივრების/დარღვევის ოქმის წარდგენის შესაძლებლობა **საარჩევნო უბნის გახსიდან შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.** შესაძლო განმეორებითი კენჭისყრა **(საწყისი ვადა)**
11	6 ივნისი	არჩევნების შედეგების გასაჩივრება **(ბოლო ვადა)** (შედეგების გამოცხადებიდან 24 საათი).
12	9 ივნისი	საჩივრების განხილვის **ბოლო ვადა.**
13	10 ივნისი	საარჩევნო კომისიის (ცესკოს) მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმებისა და საარჩევნო დავების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
14	10 ივნისი	შესაძლო განმეორებითი კენჭისყრა (ბოლო ვადა)
15	11 ივნისი	1. შესაძლო განმეორებითი კენჭისყრის შედეგების გასაჩივრების **ბოლო ვადა** (შედეგების გამოცხადებიდან 24 სთ). 2. შესაძლო განმეორებითი კენჭისყრის შედეგების საჩივრის განხილვის **ბოლო ვადა.** 3. შესაძლო განმეორებითი კენჭისყრის შემთხვევაში, საარჩევნო კომისიის (ცესკოს) მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმებისა და საარჩევნო დავების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს.